თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ზრდასრულ პირთა დამოკიდებულება დაზარალებულთან მედიაციის მიმართ და მასთან დაკავშირებული ფსიქოსოციალური ფაქტორები

დიანა ბურდილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სახელი, გვარი, დიანა ბურდილაძე

თარიღი:19/06/2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ზრდასრულ პირთა დამოკიდებულების შესწავლა დაზარალებულთან მედიაციის მიმართ და მედიაციაში მონაწილეობის მზაობასთან დაკავშირებული ფსიქოსოციალური ფაქტორების იდენტიფიცირება.კვლევა ფოკუსირებულია ემპათიის,რესოციალიზაციის აღქმის,მედიაციის შესახებ ინფორმირებულობის,მედიაციასთან დაკავშირებული შიშების,ბარიერების,აგრეთვე სოციალური მუშაკის როლის მნიშვნელობის ანალიზზე.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მონაცემები შეგროვდა სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 123 მსჯავრდებულმა პირმა.მონაცემთა ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამის გამოყენებით.გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა,Cronbach-ის ალფას კოეფიციენტი,Shapiro–Wilk-ის ნორმალურობის ტესტი,Spearman-ის რანგული კორელაციის ანალიზი,დამოუკიდებელი შერჩევების t-ტესტი (Independent Samples t-test), ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი (One-Way ANOVA) და χ^2 (Chi-square) ტესტი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა,რომ მედიაციაში მონაწილეობის მზაობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ემპათიის უფრო მაღალ დონესთან,მედიაციის პროცესის შესახებ უკეთეს ინფორმირებულობასთან,დაზარალებულის შესაძლო რეაქციის მიმართ ნაკლებ შიშთან და იმ შეხედულების უარყოფასთან,რომლის მიხედვითაც მედიაციაში მონაწილეობა სისუსტის გამოვლინებად აღიქმება.ამასთან, ასაკს,დანაშაულის ტიპს, სასჯელის ხანგრძლივობას, დემოგრაფიულ თუ ინსტიტუციურ მახასიათებლებსა და მედიაციაში მონაწილეობის მზაობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლენილა.ასევე დადგინდა,რომ სოციალურ მუშაკთან რეგულარული ურთიერთობის მქონე რესპონდენტებში ემპათიის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო.

მიღებული შედეგები მიუთითებს,რომ მედიაციისადმი მზაობა უფრო მეტად უკავშირდება ინდივიდის ფსიქოსოციალურ მახასიათებლებს,ვიდრე მის სამართლებრივ ან დემოგრაფიულ სტატუსს.კვლევა ხაზს უსვამს ემპათიის, სოციალური მუშაობისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობას ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა პასუხისმგებლობის გააზრებისა და რესოციალიზაციის პროცესში.
საკვანძო სიტყვები: მედიაცია, აღდგენითი მართლმსაჯულება, ემპათია, რესოციალიზაცია, ძალადობრივი დანაშაული, სოციალური მუშაობა, პენიტენციური სისტემა, მედიაციაში მონაწილეობის მზაობა.

Abstract

The aim of the present study was to examine the attitudes of adult individuals convicted of violent crimes and incarcerated in penitentiary institutions toward victim-offender mediation, as well as to identify the psychosocial factors associated with their readiness to participate in the mediation process. The study focuses on the analysis of empathy, perceptions of resocialization, awareness of mediation, fears and barriers related to mediation, as well as the significance of the social worker's role.

The study employed a quantitative research methodology. Data were collected using a specially designed structured questionnaire. The sample consisted of 123 incarcerated individuals serving sentences in Georgian penitentiary institutions. Data analysis was conducted using SPSS software. The statistical procedures included descriptive statistics, Cronbach's alpha coefficient, the Shapiro–Wilk test of normality, Spearman's rank-order correlation analysis, the Independent Samples t-test, One-Way Analysis of Variance (ANOVA), and the Chi-square (χ^2) test.

The findings revealed that readiness to participate in mediation was significantly associated with higher levels of empathy, greater awareness of the mediation process, lower levels of fear

regarding the victim's potential reaction, and rejection of the belief that participation in mediation represents a sign of weakness. In contrast, no statistically significant relationships were found between readiness to participate in mediation and age, type of offense, sentence length, or other demographic and institutional characteristics. The study also found that respondents who reported regular contact with a social worker demonstrated higher average levels of empathy.

The results suggest that readiness for mediation is more closely related to individuals' psychosocial characteristics than to their legal or demographic status. The study highlights the importance of empathy, social work, and restorative justice in fostering responsibility-taking and supporting the resocialization process of individuals convicted of violent crimes.

Keywords: mediation, restorative justice, empathy, resocialization, violent crime, social work, penitentiary system, readiness to participate in mediation.

მადლობა

მსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელ პროფესორ შორენა საძაგლიშვილს,პროფესიული მხარდაჭერისა და ცოდნის გაზიარებისთვის.მისი ხელმძღვანელობით სოციალური მუშაობა ჩემთვის მხოლოდ პროფესიულ საქმიანობად აღარ დარჩა.მან დამანახა სოციალური მუშაობის არსი ადამიანის დანახვის,მისი გამოცდილების გააზრების,ურთიერთობების მნიშვნელობისა და ცვლილების შესაძლებელობებით. მისი რჩევები,კრიტიკული ხედვა და მხარდაჭერა ამ ნაშრომის შექმნის პროცესში ფასდაუდებელი იყო.

ასევე მსურს მადლობა გადავუხადო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს.სამსახურმა შესაძლებლობა მომცა პირველად გამეცნო აღდგენითი მართლმსაჯულების იდეები, მედიაციის ფილოსოფია და ადამიანის ცვლილების შესაძლებლობაზე დაფუძნებული მიდგომები.სწორედ ამ პროფესიულმა გამოცდილებამ დამანახა,რომ დანაშაულის მიღმა ყოველთვის არსებობს ადამიანი,მისი ისტორია,პასუხისმგებლობა,ტკივილი და ცვლილების პოტენციალი.

გულითად მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებს,სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გუნდს,რომელთა მხარდაჭერისა და თანამშრომლობის გარეშე აღნიშნული კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

განსაკუთრებული მადლობა N5,N8,N15,N18 პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებს,რომლებმაც ხელი შეუწყვეს კვლევის ჩატარებას რთულ და სპეციფიკურ გარემოში.

მადლობას ვუხდი,კვლევაში მონაწილე მსჯავრდებულებს,რომლებმაც საკუთარი გამოცდილების,შეხედულებებისა და გულწრფელი პასუხების გაზიარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ნაშრომის შექმნაში.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემი მეგობრის, დავით გოგობერიშვილის ხსოვნას.მისი ადამიანურობა, ურთიერთობებისადმი დამოკიდებულება და რწმენა იმისა,

რომ ადამიანებს შორის გაგებასა და შერიგებას გარდამქმნელი ძალა აქვს,ჩემთვის შთაგონების წყაროდ დარჩა.მან დამანახა,რომ თანაგრძნობის, ურთიერთობისა და ერთმანეთის მოსმენის უნარი ხშირად იქ იწყებს ცვლილებას,სადაც კონფლიქტი და გაუცხოება თითქოს უკვე საბოლოოდ გამარჯვებულია.სწორედ ეს რწმენა იქცა ამ ნაშრომის ერთ-ერთ უხილავ საფუძვლად.

გულწრფელ მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს,რომელთა სიყვარული,თანადგომა, მოთმინება და გამხნევება მთელი ამ გზის განმავლობაში ჩემი მთავარი საყრდენი იყო. მათი მხარდაჭერის გარეშე ამ მიზნამდე მისვლა გაცილებით რთული იქნებოდა.

ეს ნაშრომი არის იმ ადამიანების ნდობის,მხარდაჭერისა და რწმენის შედეგი, რომლებმაც მასწავლეს,რომ ადამიანი არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ თავისი ყველაზე მძიმე შეცდომით და რომ ცვლილების შესაძლებლობის დანახვა სოციალური მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა.